



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გვერგვი

გვერგვი, კირკალი, ლითონის საყელური, ყელზე სატარებელი სამკაული. ცნობილია ბრინჯაოს ხანიდან. მიდიაში, აქემენიდთა სპარსეთში, სოგდიანეში, სკვითებსა და სარმატებში წარჩინებულობის ნიშანი იყო. ატარებდნენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა გ-ს შუა საუკუნეებში სკანდინავიურ, სლავურ, ვოლგის, ოკის, კამის და ბალტიისპირეთის ტომებში. გალიაში თავდაპირველად ქალის სამკაული იყო, შემდეგ ტომთა ბელადების ნიშნად იქცა. ძვ. რომში მამაც მებრძოლებს გ-ებით აჯილდოებდნენ. გ. ფართოდ გავრცელებული სამკაული იყო XII-XIV სს. რუსეთში, სადაც XVI ს-მდე შემორჩა როგორც ნეფე-დედოფლის კოსტიუმის ელემენტი.

საქართველოში გავრცელდა გვიანდ. ბრინჯაოს ხანიდან. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ადრინდ. ანტ. ხანის ძეგლებში. გვიანდ. ანტ. ხანიდან აღარ იხმარება. გ-ის ნაირსახეობაა ქართ. ეთნოგრ. ყოფაში დადასტურებული ე. ნ. ხატის უღელი - ლითონის, უმეტესად რკინის რგოლი, რ-საც ყელზე ატარებდნენ რომელიმე ხატის (ძირითადად წმ. გიორგის) წინაშე დადებული აღთქმის თანახმად.

ლიტ.: საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.

ი. გავომიძე
